შპს „ჭეშმარიტი ბათუმელი"-ს ავტოგასამართი სადგურის
სკრინინგის განცხადება.

მოგესალმებით,

ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა №141-ში, შპს „ჭეშმარიტი ბათუმელი"-ს კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე (GPS კოორდინატები: X-718165; Y-4612310) შპს „ჭეშმარიტი ბათუმელი"-ს (ს/კოდი 245418310) მიერ იგეგმება ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა და ექსპლოატაციაში გაშვება.

საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის აღნიშნულ მისამართზე გამოიყოფა ზემოთხსენებული კომპანიის კუთვნილი (2191 მ^2) ტერიტორიის ნაწილი, (საკადასტრო კოდი 05.26.01.090), რომელზედაც განთავსდება ავტოგასამართი სადგური და მისი დანიშნულება იქნება ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღება, შენახვა და საცალოდ რეალიზაცია.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწისქვეშ განთავსდება ნავთობპროდუქტების შესანახი 2 საცავი, საერთო მოცულობით 100 მ^3. მათ შორის პირველი საცავი, რომელიც განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისათვის გაიყოფა 2 ნაწილად (15მ^3 და 25მ^3), ხოლო მეორე საცავი, რომელიც განკუთვნილი იქნება ბენზინისათვის გაიყოფა 3 ნაწილად (25მ^3, 20მ^3 და 5მ^3). საცავები დაფარული იქნება ანტიკოროზიული საღებავით და ისინი აღჭურვილი იქნება ლითონის, 6 მეტრი სიმაღლისა და 0,04 მეტრი დიამეტრის 5 ცალი სასუნთქი მილებით.

საწვავის საწარმოში შემოტანა მოხდება სპეციალური საწვამზიდის (ავტოცისტერნა) მეშვეობით და თვითდინებით ჩაისხმება შესაბამის საცავში. საცავებიდან საწვავი მიწისქვეშ განთავსებული ლითონის მილებით (დიამეტრი 0,04 მ), ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება ჩამოსასხმელ დგარებს (2 ცალი), აღჭურვილს ჯამში 12 ჩასასხმელი ხორთუმით (პისტოლეტი), რომელთა მეშვეობით მოხდება საწვავის ჩასხმა ავტოტრანსპორტის საწვავის ავზში (ბაკში). ჩასასხმელი ხორთუმების (პისტოლეტები) მიერთება დგარზე მოხდება 6 მეტრი სიგრძის და 0,03 მ დიამეტრის სპეციალური რეზინის მილებით.

არსებული წარმადობიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგური, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საშუალოდ წელიწადში რეალიზაციას გაუკეთებს 0,5 მილიონ ლიტრ ბენზინსა და 0,3 მილიონ ლიტრ დიზელის საწვავს. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხსენებული საწარმოს ფუნქციონირებით ძირითადად მოხდება ნახშირწყალბადებით. მათი გამოფრქვევა მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული

7 ჰაერდამაბინძურებელი წყაროდან, რომელთა შორის 5 ერთეული (3 ბენზინისა და 2 დიზელის საწვავის) საწვავის შესანახი საცავის მილია და 2 ჩამოსასხმელი დგარი, აღჭურვილი ჯამში 12 ერთეული ჩასასხმელი ხორთუმით (პისტოლეტით). მათ შორის 8 ჩასასხმელი ხორთუმი (პისტოლეტი) განკუთვნილია ბენზინისათვის, 4 დიზელის საწვავისათვის. მავნე ნივთიერებათა სახეობებია ნახშირწყალბადები, რომლებიც გამოიყოფა საწვავის შესანახი საცავებიდან, მათზე არსებული სასუნთქი მილების მეშვეობით და ჩასასხმელი დგარებიდან, მათზე დამონტაჟებული საწვავის ჩასასხმელი ხორთუმების (პისტოლეტების) მეშვეობით ავტოტრანსპორტის გამართვის პროცესში.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია ასევე მოეწყოს საოპერატორი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძი, საყარაულო, ავტომაღაზია და სხვადასხვა სახის სათავსოები.

საწარმოს წყალმომარაგება მოხდება ქალაქ ბათუმის ცენტრალური საწყლოსნო მაგისტრალიდან. გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.

რაც შეეხება საწარმოს ტერიტორიის მონარეცხი წყლებს, რომლებიც პირობითად დაბინძურებული იქნება ნავთობპროდუქტებით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ღია ტიპის არხების მეშვეობით ჩაედინება 2-საფეხურიან შემკრებ-სალექარში, რომელთა ზედაპირის ფართობი 1,2 კვადრატული მეტრია, ხოლო სიღრმე 0,8 მეტრი. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი"-ს მოთხოვნებების შესრულებისა და ჩაშვებული წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია 2 ცალი (ეფექტურობა 80-85%) შემკრებ-სალექარის მოწყობა. წყალი სალექარის გავლის შემდეგ, გაწმენდილი ჩაიშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ სანიაღვრე არხში, შემდგომ შავ ზღვაში. ხოლო სალექარში დაგროვილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასის შენახვა მოხდება სპეციალურ კასრებში და გადაეცემა სათანადო უფლებამოსილ საწარმოს, როგორც სახიფათო ნარჩენი, თანახმად საქართველოს კანონისა „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს შესახებ. საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ, დახურულ კონტეინერში, რომლის დაცლას და გატანას უზრუნველყოფს ქალაქის სანდასუფთავების სამსახური შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს განთავსება დაგეგმილია ქალაქ ბათუმის ერთერთ არამჭიდრო დასახლებაში არსებულ ტერიტორიაზე, ბაგრატიონის ქუჩის გასწვრივ, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლი 30 მეტრითაა დაშორებული, ხოლო შავი ზღვა 810 მეტრით.

საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის პროცესში, მიწის სამუშაოების წარმოებისას, ნაყოფიერი ფენის მოხსნა და განთავსება განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების გამოყენება. შესაბამისად, ამისა ავტოგასამართი სადგურის ექსპლოატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი. საწარმოს სპეციპიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური აღიჭურვება სახანძრო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო დაფით, თანახმად „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ", ტექნიკური რეგლამენტისა, რაც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

ტერიტორიაზე ასევე დამონტაჟდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და საწვავის გასაცემ სვეტებს, ხოლო საწვავის მიღებისას ავტოცისტერნები დაერთდება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. დამიწებული იქნება ასევე საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა და საწვავის რეზერვუარები.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 1 მარტის დეკრეტის, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID19) გავრცელების თავიდან აცილებისა და პანდემიის პრევენციის განხორციელების მიზნით, საწარმოს ექსპლოატაციის დროს ობიექტზე დასაქმებულ პერსონალს სამუშაოს დაწყების წინ გაუკონტროლდება ჯამრთელობის მდგომარეობა (ტემპერატურის გაზომვით ან გამოკითხვით) და მონაცემები შეტანილი იქნება სპეციალურ ჟურნალებში, სათანადო ზომების გატარების მიზნით. იმავდროულად, ავტოგასამართ სადგურში დასაქმებულები აღიჭურვებიან სათანადო სადეზინფექციო ინვენტარით, სხვადასხვა სახის სტიკერებით და განცხადებებით, დაკავშირებული კორონა ვირუსის მიმდინარეობაზე და მის პრევენციაზე.

მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი იღებს ვალდებულებას „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ადგილი ექნება გარკვეული რაოდენობის როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. სახიფათო ნარჩენების სახეობები იქნება: ნავთობდამჭერის ნალექი (კოდი-130503*), რომლის წლიური რაოდენობა სავარაუდოდ 35-40 კილოგრამი იქნება, დაღვრილი ნავთობი (კოდი-050105*), წლიური რაოდებობა 25-30 კილოგრამი იქნება, ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები (კოდი-200121*), 5-10 კილოგრამი.

სახიფათო ნარჩენების მაქსიმალურად უსაფრთხო მართვისათვის საწარმოში დაგეგმილია უზრუნველიყოს მათი შეგროვება და საწარმოს ტერიტორიაზე დროებით შენახვა, შემდგომ მათი ტერიტორიიდან გატანა და შესაბამის ლიცენზირებულ სამსახურზე გადაცემა არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნავთობდამჭერში დაგროვილი ნალექი და ობიექტის ტერიტორიაზე დაღვრილი და შეგროვებული ნავთობი დაგროვდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ კასრებში და შეინახება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსოში, ხოლო ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ ყუთებში და მოხდება სათავსოში შენახვა. ხსენებული ნარჩენებს კომპანია გადასცემს ისეთ საწარმოსა და ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია და გააჩნია სათანადო ნებართვა ხსენებული ნარჩენების ტერიტორიებიდან გატანის შესახებ. ამ საქმიანობის განხორციელება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება არსებული ნორმების შესაბამისად.

ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე საწარმო იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღით წელიწადში. საწარმოში დასაქმდება 6 ადგილობრივი.

პატივისცემით,

/ შპს „ჭეშმარიტი ბათუმელი"-ს დირექტორი /შურაბ ცაიშვილი/

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 05.26.01.024**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019996322 - 29/11/2019 10:59:31

მომზადების თარიღი
02/12/2019 11:22:14

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბათუმი	სექტორი 26		
05	**26**	**01**	**024**

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ბაგრატიონი , N 141

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2191.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**05.26.01.021; 05.26.01.019; 05.26.01.008;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 N2
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 726.00

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010572967 , თარიღი 21/04/2010 16:19:37
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/05/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სარეგისტრაციო მოწმობა N271 , დამოწმების თარიღი:24/12/2003 , ბათუმის ტექინვენტარიზაციის ბიურო
- გადაწყვეტილება N156 , დამოწმების თარიღი:06/05/1996 , ქალაქ ბათუმის მერია
- შეთანხმება გაერთიანების შესახებ , დამოწმების თარიღი:17/05/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საკუთრების მოწმობა N875 , დამოწმების თარიღი:07/11/2008 , თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულო
- მომართვა N-153 , დამოწმების თარიღი:11/03/2009 , ქალაქ ბათუმის მერია

მესაკუთრეები:
მარგალიტა დაგარგულია ,P/N: 61001050996
შპს "ჭეშმარიტი ბათუმელი" , ID ნომერი:245418310

მესაკუთრე:
შპს "ჭეშმარიტი ბათუმელი"
მარგალიტა დაგარგულია

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018565127 თარიღი 26/06/2018 16:54:25	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"**204378869; **მესაკუთრე: შპს "ჭეშმარიტი ბათუმელი"** 245418310; **მარგალიტა დაგარგულია** P/N: 61001050996; საგანი:მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი - 2191.00 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა ნაგებობ(ებ)ით ;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/06/2018	**იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000287462 , დამოწმების თარიღი26/06/2018, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



შენიშვნა

1. საფეხურის საევაკუაციო შენობა;
2. ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარების სარკეშენი, 2 ცალი 50.0 მ³ მოცულობის რეზერვუარით;
3. ნავთობპროდუქტების მარეგულირებელი სვეტი;
4. ფარფული;
5. ატმოსფერული ნალექების, დაბინძურებული ნავთობპროდუქტების გამწმენდი ნაგებობა (ФСН-10);
6. ნავთობპროდუქტების ავტოცისტერნის მოედანი;
7. ლია ავტოსადგომი;
8. გამწვანება;
9. არსებული შენობა-ნაგებობა;
10. ბეტონის ღობე h=2.2 მ;
11. ბეტონის საფარი.

პირობითი აღნიშვნები

სამუშაოს დასახელება:
საპროექტო გენ-გეგმა
მ 1 : 300
დამკვეთი: შპს "ჯეშმარიტი ბათუმელი"
მისამართი: ქ. ბათუმი, ბაბრატიონის ქუჩა №141
დირექტორი: 6. ბერიძე
არქიტექტორი: 6. ბერიძე
შპს "ლურჯი ველი"

ქ. ბათუმი

ბულვარი ქუჩა N 141

"ეროვნული ჩოგბურთის ფედერაცია"

ტ/ნომერი 245 418 310

ტ. 577 25 29 19

საქართველოს ფოსტა

0100006964137

Georgian Post

საქართველოს ფოსტა

GEORGIAN POST

ქ. ანკარის

ეროვნული ბულვარი 6

ბუნების დაცვის და ლოგიკის

ბულვარი ესპანეთი